საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე– კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 063/22

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ლ. ხ. /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ხ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2022 წლის 28 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ხ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ლ. ხ. წარმოადგენს დაცვის მხარის ადვოკატს, იმ საქმეზე, სადაც ის დაზარალებულად არის ცნობილი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ლ. ხ. მისი ადვოკატის გვერდის ავლით უკავშირდება მობილურის საშუალებით და ცდილობს სატელეფონო საუბრითა და მოკლე

ტექსტური შეტყობინებებით დაითანხმოს მაგისტრატი სასამართლოს წინაშე გამოკითხვაზე, რაზეც საჩივრის ავტორმა არაერთხელ განაცხადა უარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ემუქრება და აშანტაჟებს, რომ ის საქმეში „არ დარჩება მოგებული“ და ცდილობს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს მასსა და მისი ოჯახის წევრებზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ხ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 09 სექტემბერს, სადაც მიუთითა, რომ მ. ს. არასწორად აღწერს ფაქტობრივ გარემოებებს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 24 ივლისს, მან ნამდვილად გაუგზავნა მ. ს. ეს მოკლე ტექსტური შეტყობინებები მის კუთვნილ მობილურის ნომერზე და შესთავაზა მაგისტრატ სასამართლოში გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება, რაზეც საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 27 ივლისს, ის კიდევ ერთხელ ეცადა დაკავშირებოდა მ. ს.-სა და სხვა დაზარალებულებს, თუმცა უშედეგოდ, ვინაიდან მათ ადვოკატის ზარს არ უპასუხეს.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ გამოკითხვაზე შეთავაზება მ. ს. ეს ფოსტითაც გაუგზავნა და მის მიერ განხორციელებული მოქმედებები საჭირო იყო კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ვინაიდან გადაწყვეტილი ჰქონდა მიემართა სასამართლოსათვის, აღნიშნული პირების გამოკითხვის შუამდგომლობით. ადვოკატმა ასეთი შუამდგომლობით მიმართა სენაკის რაიონულ სასამართლოს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის არ ფლობდა ინფორმაციას მ. ს.-ის ადვოკატის შესახებ და სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შემდეგ, ის საჩივრის ავტორს აღარ დაკავშირებია. სასამართლოს განჩინება მიღებულია 2022 წლის 28 ივლისს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიმართ, მისი მხრიდან მუქარასა და შანტაჟს ადგილი არ ჰქონია და მის მიერ განხორციელებული მოქმედებები იყო კანონიერი და ადვოკატის სტრატეგიის ნაწილი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ის გაფრთხილებულია გაუთქმელობაზე და ამიტომ, ეთიკის კომისიაში ვერ წარმოადგინა სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის მ. ს.-ის ადვოკატის ორდერი, რაზეც უფლებამოსილია საჩივრის ავტორი, თუმცა ის განზრახ არიდებს თავს აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენას, ვინაიდან დადასტურდება, რომ ლ. ხ.-ს არ ჰქონდა ინფორმაცია საჩივრის ავტორის ადვოკატზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ლ. ხ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართლის; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 მ. ს.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 28 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ხ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ლ. ხ. სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით უგზავნიდა მუქარისა და შანტაჟის შემცველ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს მ. ს.-ს და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა მასსა და მისი ოჯახის წევრებზე.

5.2. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ხ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. (ადვოკატთა „ადვოკატთა შესახებ“ კანონი, მუხლი 6.1).

5.4 „ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 074/16).

5.5 „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №066/10).

5.6 საჩივრის ავტორმა საჩივართან ერთად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ ლ. ხ.-ს მიერ 2022 წლის 24 ივლისს გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც ადვოკატი მიუთითებს საკუთარ ვინაობას, მიზანს და სთავაზობს მ. ს.-ს გამოკითხვაში მონაწილეობის

მიღებას, ვინაიდან „არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმოებისათვის აუცილებელი მტკიცებულებების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს.“ შეტყობინების ტექსტი შემდეგნაირად გრძელდება: „ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვცეთ საშუალება თქვენი გამოკითხვის საწარმოებლად და გამოკითხვაზე თანხმობის ან გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, თქვენი პოზიცია შეგვატყობინოთ წერილობით..... შესაძლებელია გამოკითხვა ნაწარმოები იქნას თქვენს მიერ შერჩეულ ტერიტორიაზეც. აქვე განგიმარტავთ, რომ თქვენი მხრიდან გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაცვის მხარე მიმართავს მაგისტრატ სასამართლოს თქვენი გამოკითხვის აუცილებლობაზე.“ აღნიშნულ ტექსტს მოსდევს ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის ინფორმირება შეტყობინების ჩაბარებულად ჩათვლის თაობაზე. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მიმოწერა მოიცავს საჩივრის ავტორის პასუხსაც: „წინააღმდეგი ვარ თქვენს მიერ ჩემი გამოკითხვის.“ თავის მხრივ, ადვოკატმა ლ. ხ.-მ დაადასტურა მოკლე ტექსტური შეტყობინების ავთენტურობა და წარმოადგინა მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ამსახველი ოქმი; მაგისტრატი სასამართლოსათვის წარდგენილი შუამდგომლობა, მოწმეთა გამოკითხვის თაობაზე და სენაკის რაიონული სასამართლოს განჩინება. საჩივრის ავტორმა საჩივარში მიუთითა, რომ ადვოკატმა ლ. ხ.-მ არაერთხელ დაურეკა, რა დროსაც ადვოკატი ემუქრებოდა და აშანტაჟებდა. ადვოკატი სრულად უარყოფს მ. ს.-სთან მუქარისა და შანტაჟის შემცველ კომუნიკაციას.

5.7 ადვოკატმა ლ. ხ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სატელეფონო ოქმი, სადაც მითითებულია, რომ 2022 წლის 27 ივლისს მან დაურეკა მოწმედ გამოსაკითხ პირებს, მათ შორის საჩივრის ავტორს, თუმცა მათ ადვოკატის ზარს არ უპასუხეს. მ. ს.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მის მიერ საჩივარში აღწერილ სადავო ფაქტებს შანტაჟსა და მუქარაზე. შესაბამისად, ეთიკის კომისიისათვის უცნობია ისაუბრეს თუ არა საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა ლ. ხ.-მ და რა შინაარსის საუბარი შედგა მათ შორის.

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.9 მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11,

რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

5.10 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ლ. ხ.-ს მიერ პროფესიული ქცევის წესების სავარაუდო დარღვევის არსებობის ფაქტის დადგენის შესახებ იმსჯელა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე. საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს. მან უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები ან მიუთითოს კომისიას იმ მტკიცებულებების გამოთხოვაზე, გამოკვლევაზე, რაც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს სადავო ქცევის ჩადენაზე. თავის მხრივ ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი - გააქარწყლოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები და მოთხოვნები. ეთიკის კომისიას კი აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ არგუმენტების, ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მ. ს.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ლ. ხ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა.

5.11 საჩივრის ავტორს, გარდა საჩივრისა, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დააკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ ლ. ხ. ნამდვილად ემუქრებოდა და აშანტაჟებდა მას. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლის შინაარსიც მხოლოდ მაგისტრატ სასამართლოში გამოკითხვაზე დაბარებას შეეხებოდა არ შეიცავს მუქარასა და შანტაჟს, მიმართულია კლიენტის ინტერესების დაცვისაკენ და წარმოადგენს ადვოკატის სტრატეგიის ნაწილს. ადვოკატ ლ. ხ.-ს მიერ საჩივრის ავტორისადმი მიწერილი შეტყობინება შედგენილია ეთიკური სტანდარტებისა და კანონის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის პოზიციით, საჩივრის ავტორის პრეტენზიების ამ ნაწილში არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ლ. ხ. -ს მიმართ.

5.12 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ლ. ხ. საჩივრის ავტორს ადვოკატის გვერდის ავლით უკავშირდებოდა და ცდილობდა დაეთანხმებინა გამოკითხვაზე. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

,,ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება".(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 10.4).

5.13 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად." ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე."

5.14 საჩივრის ავტორი - დაზარალებული მ. ს. სადავოდ ხდის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის პროფესიულ ქცევას. კერძოდ, ადვოკატი შეეცადა საჩივრის ავტორთან კომუნიკაციასა და მის მოწმის სტატუსით გამოკითხვაზე დათანხმების მცდელობას.

5.15 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას იდაოს ადვოკატის ქცევის ეთიკურობაზე, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები. საჩივრის შემდგომი განხილვისათვის არსებითია საჩივრის ავტორმა დაასაბუთოს ადვოკატის ქმედებით როგორ დაირღვა მისი უფლებები და რა ზიანი მიადგა მას. საქმის მასალებისა და მხარეთა პოზიციების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ადვოკატ ლ. ხ.-ს მ. ს. არ გამოუკითხავს და ადვოკატის ქცევით, სასამართლოში საქმისწარმოებისას მ. ს. ის პოზიციას ზიანი არ მისდგომია, რაც გამორიცხავს ადვოკატ ლ. ხ. -ს მიერ მ. ს.-ის უფლებების დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი აპელირებს მხოლოდ ადვოკატის მიერ კოლეგის მიმართ ჩადენილ გადაცდომაზე, თუმცა აღნიშნულ ფაქტზე დაზარალებულის ადვოკატს პრეტენზია არ წარმოუდგენია.

5.16 საპროცესო კოლეგიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია, რომ ადვოკატი ლ. ხ. ინფორმირებული იყო მხარის ადვოკატის შესახებ და მან დაზარალებულთან კომუნიკაციის აღნიშნული სტილი განზრახ აირჩია. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში

არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო მ. ს.-ის ადვოკატის შესახებ. კომისიისათვის უცნობია როდის ჩართო საჩივრის ავტორმა ადვოკატი საქმისწარმოებაში და გახდა თუ არა აღნიშნული ფაქტი ადვოკატ ლ. ხ.-სათვის ცნობილი. ამასთან, მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში, სადაც საჩივრის ავტორი უარს აცხადებს გამოკითხავში მონაწილეობაზე არაფერია ნათქვამი მხარის ადვოკატზე. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ადვოკატი ლ. ხ. ინფორმირებული იყო აღნიშნულ საკითხზე.

5.17 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები და მათ მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები; საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატის პროფესიული ქცევით უკმაყოფილო პირის უფლებამოსილება ადვოკატის მიმართ გამოხატულ პრეტენზიასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პრეტენზიის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ადვოკატის გვერდის ავლით მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციას, მ. ს. არ არის უფლებამოსილი პირი იდავოს ადვოკატ ლ. ხ.-ს პროფესიულ ქცევაზე.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N063/22 ადვოკატ ლ. ხ.-ს /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/